ქ. თბილისი

09.12. 2016 წ.

შეთანხმება

განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში ინტერესთა გამოხატვის და ურთიერთგაგების თაობაზე

შეთანხმება

განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში ინტერესთან გამოხატვის და ურთიერთგაგების თაობაზე

ჩვენ, შეთანხმების მონაწილეები: შპს „ჯეოსტილი“ (205125933), შპს „ნოვო სტილი ჯორჯია“ (204546688), შპს „G & A GROUP“ (404943683), შპს „შვიდი მითი“ (205273595), შემდგომში ერთობლივა მხარეები, ვითვალისწინებთ რა რომ:

1. საკუთრებაში გვაქვს მიწის ნაკვეთები: საკადასტრო კოდები: 01.10.06.001.211, 01.10.06.001.212, 01.10.07.003.062, 01.10.07.003.063, 01.10.07.003.064, 01.10.07.003.065, 01.10.07.003.066, 01.10.07.003.067, 01.10.07.003.809, 01.10.07.003.810 (შემდგომში ერთობლივად საპროექტო ტერიტორია), რომლის სამშენებლოდ გამოყენება განსაზღვრულია განაშენიანების რეგულირების გეგმით (შემდგომში გრგ), რაც დამტკიცებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N270 განკარგულებით;
2. ვაღიარებთ და პატივს ვცემთ ერთმანეთის საკუთრების გამოყენების და განვითარების კანონიერ ინტერესებს;
3. გვაქვს გამოხატული ინტერესი, რომ საპროექტო ტერიტორია განვითარდეს სამრეწველო ზონა 1 - ის რეგლამენტების მოთხოვნათა შესაბამისად საწარმო და სასაწყობო დომინირებული ფუნქციებით და მათი დამხმარე ფუნქციებით, რაც ასახულია მოქმედ გრგ-ში;
4. თითოეულ მესაკუთრეს, მიწის ნაკვეთის საზღვრებში გაგვაჩნია ან მომავალში შეიძლება გაგვიჩნდეს მოქმედი კანონმდებლობით და გრგ განსაზღვრული სამშენებლო პოტენციალის გამოყენების ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, განსხვავებული ინტერესი და საჭიროება,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N27, 27ა, 27ბ, 29, 29ა, 29ბ, 31, 31ა-ში, საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი გრგ კორექტირება ან/და ცვლილებების შეტანა სავალდებულო და არასავალდებულო ურთიერთშეთანხმების პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების მუხლებით.

1.2. 1.1. მუხლით გათვალისწინებულ ურთიერთშეთანხმების სავალდებულო პირობებს, რაც საჭიროებს მხარეთა სავალდებულო შეთანხმებას, წარმოადგენს:

1.2.1. გრგ დადგენილი ფუნქციური ზონის (ს-1) ცვლილება სხვა ზონის სახეობაზე, მათ შორის სატრანსპორტო ზონაზე, როგორც გავლენის მატარებელი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთებისთვის;

1.2.2. ცვლილებები, რომელიც ეხება თანასაკუთრების უძრავი ქონების გამოყნებას ან/და განვითარებას.

1.3. 1.1. მუხლით გათვალისწინებულ ურთიერთშეთანხმების არასავალდებულო პირობებს, რაც არ საჭიროებს მხარეთა სავალდებულო შეთანხმებას, წარმოადგენს:

1.3.1. თითოეული მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში შენობა-ნაგებობების განთავსების რეგლამენტების ცვლილება;

1.3.2. თითოეული მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კონფიგურაციების ცვლილება ან/და დაყოფა გაერთიანება, რაც არ იწვევს შეთანხმების სხვა მხარეების საკუთრების შეცვლას.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მხარეები უფლებამოსილი არიან წინამდებარე შეთანხმების 1.3. მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით ურთიერთშეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად მიმართონ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ს გრგ კორექტირების ან/და ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

3.2. მხარეები ვალდებულები არიან დაიცვან 1.2. მუხლით გათვალისწინებული პირობები.

3.3. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დაგეგმილი 1.2. მუხლით გათვალისწინებული ცვლილება გრგ-ში ზიანს არ აყენებს შეთანხმების მონაწილე სხვა მხარეებს, ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელთ უფლება არ აქვთ უარი განაცხადონ გრგ-ს კორექტირებაზე ან/და სხვა მხრივ ხელი შეუშალონ მას.

4. შეთანხმების მოქმედების ვადა, ცვლილების შეტანა ან/და შეწყვეტა

4.1. შეთანხმებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

4.2. შეთანხმების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. შეთანხმება მოქმედებს უვადოდ, მხარეთა მიერ მისი გადახედვამდე ან/და სრულად გაუქმებამდე.

5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

5.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე შეთანხმებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. შეთანხმება შედგენილია ოთხ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები:

შეთანხმების მონაწილეები	
შპს „G & A GROUP“	შპს „შვიდი მითი“
ს.კ.: 404943683	ს.კ.: 205273595
მის.: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ, №32	მის.: საქართველო, ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ.№29
უფლებამოსილი პირი	*უფლებამოსილი პირი*
სახელი გვარი: **ლაშა ტალახაძე**	სახელი გვარი: **რამაზ ანდღულაძე**
ხელმოწერა	*ხელმოწერა*
შპს „ჯეოსტილი“	შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“
ს.კ.: 205125933	ს.კ.: 204546688
მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5	მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ბელინსკის ქ. №24
უფლებამოსილი პირი	*უფლებამოსილი პირი*
სახელი გვარი: **კონსტანტინე მელაძე**	სახელი გვარი: **მალხაზ შალამბერიძე**
ხელმოწერა	*ხელმოწერა*

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16005218, 15/01/2016 17:31:45

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ნოვი სტილი ჯორჯია
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204546688
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	18/01/2008
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბელინსკის ქ., №24

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 53001009935, მალხაზ შალამბერიძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
53001009935, მალხაზ შალამბერიძე	100.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16069658, 22/04/2016 15:10:58

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ჯეოსტილი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205125933
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	3300/006-შპს; 22/02/2006
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ჯიქიას ქ., №5

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 53001010412, კონსტანტინე მელაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
53001010412, კონსტანტინე მელაძე	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge